ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7964296

ნომერი: AR11146940

თარიღი : 09.06.2026

გაცემის თარიღი : 16.06.2026

გაცნობის თარიღი : 17.06.2026

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 203; ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 203; ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 203;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლექვთაძე პ/ნ 53001014154
- თბილისი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, ცეცხლმედეგი გამმიჯნავის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის, მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან, მიწის ნაკვეთზე 01/08/2019 წლის № 4598568 ბრძანებით თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.12.13.016.060) შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. შეთანხმებული პროექტით გადანაწილებული იქნა საცხოვრებელი და საოფისე ფუნქციების პროცენტულობა.

განცხადებით მოთხოვნილია ფუნქციის ცვლილება, (საოფისე ფართების საცხოვრებელ ფართებად დაყოფა) რაც გამოიწვევს პროექტით გათვალისწინებული საცხოვრებელი და საოფისე ფართობის ბალანსის რღვევას, შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი განცხადება

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.